

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2010 წლის 28 სექტემბერი
დადგენილება № 336

აკადემიური საბჭოს არჩევნების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. 2010 წლის 30 სექტემბრიდან ჩატარდეს აკადემიურ საბჭოში ფაკულტეტების წარმომადგენლების არჩევნები ქვემოთ მითითებული ვაკანტური ადგილების მიხედვით:
 - სამშენებლო ფაკულტეტი – 2 ვაკანსია;
 - სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი – 2 ვაკანსია;
 - სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი – 1 ვაკანსია;
 - არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი – 1 ვაკანსია;
 - ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტი – 2 ვაკანსია;
 - ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი – 1 ვაკანსია;
2. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ შესაბამისი ფაკულტეტების სრულ ან/და ასოცირებულ პროფესორებს.
3. კანდიდატებმა საარჩევნო კომისიაში უნდა წარადგინონ განცხადება, პირადობის მოწმობის ასლი და ცნობა სტუ-ში დაკავებული თანამდებობის შესახებ.
4. კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს მიმდინარე წლის 11 ოქტომბერს და დასრულდეს 20 ოქტომბერს. არჩევნები გაიმართოს რეგისტრაციის დასრულებიდან 7 დღეს – 27 ოქტომბერს.
5. არჩევნები ჩატარდეს “მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ” დებულების შესაბამისად.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი

გ. სალუქვაძე